საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კისტრიკი

კისტრიკი, ნეოლითის ხანის (ძვ. წ. VII–VI ათასწლ.) ნამოსახლარი. მდებარეობს სოფ. ბამბორაში (აფხაზეთის არ, გუდაუთის მუნიციპალიტეტი), კისტრიკის ღელის მარჯვ. ნაპირზე, შავი ზღვის ნაპირიდან 100 მ-ზე (II ტერასაზე), 4,8 მ სიმაღლეზე.

კ. ღია ტიპის ნამოსახლარია, უკავია 6 ჰა ფართობი. კულტ. ფენების სისქე 30–60 სმ. თითქმის მთელ ფართობზე, ალუვიურ თიხნარში ჩართულია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კაჟის, ობსიდიანისა და რიყის ქვის იარაღ-ხელსაწყოები და მათი დამზადების პროცესში წარმოქმნილი ნაშთები.

კ-ის ნამოსახლარს პირველად მიაკვლია ა. ლუკინმა 1940. მან 13500 იარაღ-ხელსაწყო და წარმოების ნაშთი შეაგროვა. 1941 აფხაზეთის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. სოლოვიოვი) დიდძალი მასალა მოიპოვა. 1958–60 კ-ის ნამოსახლარი შეისწავლა საქართვ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის შავიზღვისპირეთის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი, რაზმის უფროსი ლ. ნებიერიძე).

კ-ის კერამიკა ფრაგმენტულია (მათი აღდგენა არ ხერხდება), ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი, კეცი სუსტად და არათანაბრადაა გამომწვარი, ცომში სილის მინარევებია. ფორმის მიხედვით გვხვდება ქილისებრი ჭურჭელი, რ-საც კედელი ვერტიკალური (ზოგან გადახრილი) აქვს, ძირი კი – ბრტყელი. რიყის ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია გახეხილ-გაპრიალებული ცულები, ხელჩაქუჩები, ხელსაფქვავები, სატეხ-სათლელები, სახეხები, საწაფები, შურდულის ქვები, წერაქვისა და თოხისმაგვარი იარაღები.

საყურადღებოა მიკროლითური ტექნიკით დამზადებული კაჟისა და ობსიდიანის იარაღები: ტრაპეციის, სეგმენტისა და ოთხკუთხა ფორმის ჩასართები, რ-თა უმრავლესობა ორმხრივადაა დამუშავებული. კ-ის კოლექციაში დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა ტიპის საფხეკები, საჭრისები, ბურღ-სახვრეტები, დანისებრი ლამელები, ისრისპირები, პიკისებრი იარაღები, ძვლის სადგისი და სხვ.

საქართველოს სხვა ტერიტორიაზე სინქრონული მასალები მოპოვებულია ოდიშის, ანასეული II-ის, ჩხორთოლისა და სხვ. ნეოლითურ ნამოსახლარებზე.

ლიტ.: ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972; Л у к и н А. Л., Неолитическое селище Кистрик близ Гудаут, „Советская Археология“, 1950,№12; С о л о в ь е в Л. Н., Неолитическое поселение побережья Кавказа: Нижне–Шиловское и Кистрик Материалы по археологии Абхазии, Тб., 1967.

კ. კალანდაძე